პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 212
(7273)

4
1982 წ.
ნოემბერი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის
ჩემპიონატი მშთ
მრავალჭიდში
გაზეთ
„კომსომოლსკაია
პრავდას“ პრიზზე

მთავარი სტარტები ჯერ წინაა

სიტყვა—ჩემპიონებს

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი მშთ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. საქართველოს გუნდმა ამ ასპარეზობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ცალკეულ სახეობებში ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა წარმომადგენელმა გაიმარჯვა. მაგალითად, თ. ჩიტაძემ ყველას აჯობა სპრინტში, კ. სმირნოვმა — სროლაში, მ. ვერემეევს ტოლი არ ჰყავდა ცურვაში და სხვ. რესპუბლიკის ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში სამი საფეხურით დაწინაურდა და XI ადგილზე გავიდა. თუმცა ყველაზე დიდი მიღწევა ის იყო, რომ 10 ჩემპიონს შორის ორი ჩვენი თანამემამულე იყო. უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს თბილისელმა მოსწავლემ ე. პოპიკინამ და ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის მოსწავლემ გ. პოდიაბლონსკიმ. ამ რთული სტარტების გამარჯვებულები ლენინგრადიდან ჩამოსვლისთანავე რედაქციაში მოვიწვიეთ.

— ბავშვობიდან მიყვარდა ველოსპორტი, ცურვა, მძლეოსნობა. ვვარჯიშობდი კიდეც ამ სახეობებში და როცა ძალები მშთ მრავალჭიდში მოვსინჯე, დავრწმუნდი, რომ შემეძლო რამდენიმე სახეობას დავუფლებოდი, — თქვა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა გ. პოდიაბლონსკიმ. — საკავშირო შეჯიბრებაში პირველად მივიღე მონაწილეობა და მიხარია, რომ ასე სტაბილურად გამოვედი. ძალზე ძლიერი მეტოქეები მყავდა. მრავალჭიდის ყველაზე რთულ სახეობად სროლა მიმაჩნია. ჩემი აზრით, სწორედ იგი მოითხოვს დიდ ნებისყოფას და კარგ მხედველობას. ჩვენი გუნდისთვის ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ სწორედ მსროლელებმა ისახელეს თავი. თითოეულმა დიდი წვლილი შეიტანა ამ სახეობაში საერთო გუნდური II ადგილის მოპოვებაში. ლიდერებს, რსფსრ-ის გუნდს მხოლოდ 13 ქულით ჩამოვრჩით. ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, როგორც ყველას, მეც გამეხარდა, მაგრამ ჩემი სიხარული ორმაგი გახლდათ, ვინაიდან ბოლოსდაბოლოს დედა დარწმუნდება, რომ მე, როგორც მას ეგონა, ტყუილად როდი ვკარგავდი დროს ვარჯიშზე.

თავის სადებიუტო გამოსვლაზე თბილისის 144-ე სკოლის X კლასის მოსწავლემ ე. პოპიკინამ თქვა:

— ჩემს გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს მარინა შჩოგოლევას, რომელმაც ვარჯიშისა და ცალკეულ სახეობებში თანაბარი დატვირთვის სპეციალური გეგმა შეიმუშავა. მისი საქმიანი შენიშვნები და მითითებები თან მდევდა სარბენ და ცისფერ ბილიკებზეც, ჩემპიონატი წარუმატებლად დავიწყე. 60 მეტრი 8,2-ში დავფარე, რაც მე-18 შედეგი იყო. ძალზე გამიჭირდა მობილიზება, მაგრამ თანაგუნდელები მამხნევებდნენ, სჯეროდათ ჩემი და მეც მომდევნო სტარტებისთვის ძალები მოვიკრიბე. სროლაში 50-დან 49 ქულა მოვაგროვე. ამდენივე ქულა ჰქონდა ლენინგრადელ სპორტსმენსაც, მაგრამ 10-იანების სიმრავლემ I ადგილის ბედი ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა. 50 მეტრზე ცურვაში სულ რაღაც 0,13-ით ჩამოვრჩი გამარჯვებულს, ფალსტარტის გამო ენერგია რომ არ დამეხარჯა, ალბათ უკეთესი შედეგი მექნებოდა. სამი სახეობის შემდეგ პირად ჩათვლაში II ადგილზე გადმოვინაცვლე და მხოლოდ 3 ქულით ჩამოვრჩებოდი შეჯიბრების ლიდერს დაინა სიმუნიტეს. ჩემპიონობის ბედი 300-მეტრიან კროსს უნდა გადაეწყვიტა... ფინიშთან მისულს უკვე მილოცავდნენ...

ჩემპიონატი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ბევრი მეგობარი შევიძინე, მეტადრე ლენინგრადელებს დავუახლოვდი, საქართველოსა და ლენინგრადის გუნდი ხომ ერთად გადიოდა შეკრებას ბათუმსა და ლენინგრადში.

— რას გვეტყვით მომავლის გეგმებზე?

— ძირითადი სტარტები ჯერ კიდევ წინა გვაქვს, — თითქოს მოლაპარაკებული იყვნენო, ერთხმად თქვეს ჩემპიონებმა.

სტუმრებს ესაუბრა
ა. ზენკო.

• • •

სურათზე: გ. პოდიაბლონსკი (მარცხნივ) და ე. პოპიკინა „ლელოს“ რედაქციაში.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეაჯამა უმაღლესი სპორტული ოსტატობისთვის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1 ნოემბრისთვის:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, ქალაქები.

ადგილები, ქულები

		I	II	III	ქ.
1.	თბილისი	75	49	55	4196
2.	ქუთაისი	11	7	8	691
3.	აფხაზეთის ასსრ	8	3	7	399
4.	ფოთი	8	3	4	391
5.	რუსთავი	6	1	4	274
6.	გორი	3	2	6	189
7.	აჭარის ასსრ	4	1	4	173
8.	სამ. ოს. ა. ო.	2	—	—	75

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებები და უწყებები

		I	II	III	ქ.
1.	„დინამო“	23	15	12	1478
2.	„განთიადი“	23	13	10	1038
3.	„კოლმეურნე“	18	9	19	937
4.	ასკ	18	12	21	930
5.	„ბურევესტნიკი“	17	9	6	913
6.	„შრ. რეზერვ.“	11	2	7	494
7.	„ვოდნიკი“	9	3	5	388
8.	„სპარტაკი“	8	5	10	336
9.	„ზენიტი“	4	1	4	177
10.	„ლოკომოტივი“	2	3	4	159

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

		I	II	III	ქ.
1.	მცხეთა	5	3	1	266
2.	მახარაძე	3	1	1	147
3.	კასპი	2	2	2	144
4.	დუშეთი	1	2	1	111
5.	გარდაბანი	2	—	1	93
6.	ქარელი	1	—	2	51
7-8.	მარნეული	1	—	—	40
7-8.	ორჯონიკიძე	1	—	—	40
9.	ახალციხე	—	1	1	20
10.	ხაშური	—	1	—	12
11.	ახმეტა	2	—	2	7
12.	გორი	—	—	1	5
13.	თელავი	1	—	2	0
14.	საგარეჯო	—	—	1	0

შენიშვნა: 1 გრაფაში „დაკავებული ადგილები“ აღნიშნულია სპორტსმენების, გუნდების მიერ მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და პირველობებში, საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული I, II და III ადგილები.

2. გრაფაში „ქულები“ მოცემულია მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში მოგროვებული ქულები სათანადო კოეფიციენტთა გათვალისწინებით: I ადგილისთვის — 5 ქულა, მეორისთვის — 3, ხოლო მესამისთვის — 1.

● ჭადრაკი

მეოთხე ტურში...

ლიუცერნში საჭადრაკო ოლიმპიადის IV ტურში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ვაჟთა გუნდების შეხვედრაში ორი დამთავრებული პარტიის შემდეგ ანგარიშით 1,5:0,5 დაწინაურდნენ ჩვენი მოჭადრაკეები. კასპაროვმა მოუგო გლიგორიჩს, ხოლო ბელიავსკი დაუზავდა კოვაჩევიჩს.

ქალთა გუნდების ასპარეზობაში ერთმანეთს შეხვდნენ შეჯიბრების ფავორიტები საბჭოთა და ჩინელი მოჭადრაკეები. საბჭოთა დიდოსტატებმა გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით 2,5:0,5 და სათავეში ჩაუდგნენ ტურნირს. პარტიები მოიგეს გაფრინდაშვილმა და ალექსანდრიამ, ხოლო იოსელიანმა შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

გაგაცნობთ სხვა გუნდების წინა ტურებში მიღწეულ შედეგებს: ვაჟები — I ტური. აშშ-მონღოლეთი — 4:0, უნგრეთი-თურქეთი — 4:0, ინგლისი-ეგვიპტე — 4:0, იუგოსლავია-ჰონკონგი — 4:0, ჰოლანდია-სირია — 4:0, ჩეხოსლოვაკია-ირლანდია 4:0, გფრ-პაკისტანი — 4:0, შვეცია-მალაიზია — 4:0, შვეიცარია-ლუქსემბურგი — 4:0. II ტური. აშშ-საფრანგეთი — 4:0, ინგლისი-ჩინეთი — 3,5:0,5, იუგოსლავია-ინდოეთი — 3:1, ჰოლანდია-პორტუგალია — 2:2, შოტლანდია-ჩეხოსლოვაკია 2:2, გფრ-უელსი — 3,5:0,5, შვეიცარია-პარაგვაი 3:1, ინდონეზია-ფინეთი — 4:0. III ტური. ინგლისი-შვეცია — 2:2, გფრ-ინდონეზია — 2,5:1,5, იუგოსლავია—ბულგარეთი 3:1, უნგრეთი-ისრაელი — 2,5:1,5, შვეიცარია-კანადა — 1,5:0,5.

ქალთა გუნდების ასპარეზობა ასეთი შედეგებით აღინიშნა: I ტური. უნგრეთი-იტალია — 3:0, რუმინეთი-იაპონია — 3:0, გფრ-შვეიცარია — 3:0, თურქეთი-იუგოსლავია — 2,5:0,5, ბულგარეთი-ისლანდია — 3:0, შვეცია-საბერძნეთი — 3:0, ესპანეთი-ვენესუელა — 3:0, ჩინეთი-ფილიპინები — 3:0, II ტური. პოლონეთი-ავსტრია 3:0, ჩინეთი-ბრაზილია — 3:0, რუმინეთი-კოლუმბია — 2,5:0,5, გფრ-კანადა — 1,5:1,5, იუგოსლავია-აშშ — 2:1, უნგრეთი-ინდოეთი — 2:1, არგენტინა-ბულგარეთი — 1,5:1,5, შვეცია-საფრანგეთი — 2:1. III ტური. ჩინეთი-ესპანეთი — 2:1, უნგრეთი-პოლონეთი — 2:1.

● წყალში ხტომა

გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული კომბინატის საცურაო აუზში დაიწყო საუწყებო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წყალში მხტომელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობს თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის 40 სპორტსმენი. პირველ დღეს დამთავრდა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა. ჭაბუკთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა სოხუმელმა გ. შავდიამ — 524,88 ქულა. მეორე იყო პ. ყეინაშვილი — 471,18, ხოლო მესამე — გ. ჩოგოვაძე (ორივე — თბილისი) — 463,71. სამივე პრიზიორი სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წარმომადგენელია.

საღამოს იასპარეზეს გოგონებმა.

დღეს პროგრამაშია 5 და 7,5-მეტრიანი კოშკიდან ხტომები.

სურათებზე: გ. შავდია (ზევით); შეჯიბრების მონაწილენი (მარცხნიდან) მ. მერაბიშვილი, დ. დანელია (ორივე — თბილისი); რ. ხარაზია (სოხუმი) და კ. ცხვედიანი (ქუთაისი) ასპარეზობის შემდეგ.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

● ძალოსნობა

ა. მედოევის წარმატება

ბულგარეთის ქალაქ ხასკოვოში მიმდინარე იუნიორ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. 75 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა კრასნოდარელმა ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც ორჭიდში 355 კგ დააგროვა. ამ წონაში ბრინჯაოს მედალიც საბჭოთა სპორტსმენს ფრუნზელ ს. ლის ხვდა წილად — 347,5 კგ. 82,5 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა ტაშკენტელმა ნ. მუხამედიაროვმა — 360 კგ.

90 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში უძლიერესი იყო 19 წლის ვ. სოლოდოვი (სსრ კავშირი, კემეროვოს ოლქი), რომელმაც ორჭიდში 400 კილოგრამი მოაგროვა. ბულგარელმა დ. პეტროვმა, რომელიც ჩემპიონს 5 კილოგრამით ჩამორჩა, დამატებით ცდაში 223-კილოგრამიანი შტანგა აჰკრა და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა იუნიორთა მსოფლიო მიღწევა.

შესანიშნავად იასპარეზა 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საბჭოთა ათლეტმა, საქართველოს სსრ ქალაქ ცხინვალის წარმომადგენელმა ალექსანდრე მედოევმა.

ორჭიდის ჯამში ა. მედოევმა 390 კილოგრამი მოაგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი აფროსნობაში

აფრები — ბათუმის ყურეში

ბათუმში შვიდ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ღია ჩემპიონატი აფროსნობაში „ფინის“, „470“ და „ვინგლაიდერის“ კლასის ნავებით, პარალელურად ჩატარდა საკავშირო პროფკავშირთა პირველობა.

ღია ზღვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: აჭარის, აფხაზეთის, თბილისისა და ფოთის აფროსნები, მათთან ერთად ასპარეზობდა მოსკოვის, ლენინგრადის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სევასტოპოლის 160 სპორტსმენი.

პირველი სტარტი „ვინგლაიდერის“ კლასში მიეცა. თავიდანვე დაწინაურდა ბათუმელი ოსტატობის კანდიდატი ლ. ტკაჩენკო. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა თანაგუნდელი ვ. ციბა, ფინიშთან კი წინ გაიჭრა გამოცდილი მოსკოველი სპორტის ოსტატი ა. ტიასეროცკი, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც. ბათუმელი აფროსნები მეორე-მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

„ფინის“ ტიპის ნავებში გაიმარჯვა ვ. ნაუმოვმა (სომხეთი), მეორე ადგილზეა სოხუმელი ს. პეტროვი, მესამეზე აღმოჩნდა ა. არხიპოვი (ლენინგრადი).

საინტერესო და დაძაბული ბრძოლა გაიმართა „470“-ის კლასში, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბათუმის, ფოთისა და სოხუმის შერეული წყვილები. ფინიშთან პირველნი იყვნენ ა. ზავადსკი (ბათუმი) და ს. პეტრაკოვი (ფოთი), მეორე ადგილი დაიკავა ფოთელმა ე. ოლხინმა და სოხუმელმა ე. სერიოგინმა, ბათუმელების ა. დოლგლანიანისა და რ. გულგეზიანის დუეტი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ჩემპიონატმა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი ჩვენი რესპუბლიკის ორი ეკიპაჟის წევრებმა: „470“-ის კლასში ალექსანდრე ზავადსკიმ, სერგეი პეტრაკოვმა, ევგენი ოლხინმა და ევგენი სერიოგინმა. „ფინის“ ტიპის ნავით — სერგეი პეტროვმა, ხოლო „ვინგლაიდერის“ კლასში — ლეონიდ ტკაჩენკომ.

ჩვენთან საუბარში საქართველოს სპორტკომიტეტის აფროსნობისა და ნიჩბოსნობის განყოფილების უფროსმა **გ. ფოცხიშვილმა** აღნიშნა:

— შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა, დიდად შეგვიწყო ხელი აჭარის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის მონდომებამ, ამინდმაც ზურგქარი არ დაგვაკლო. მომზადებული შეხვდნენ ჩემპიონატს აჭარის, აფხაზეთისა და ფოთის აფროსნები. საწყენია, რომ პრიზიორთა შორის არც ერთი თბილისელი არ იყო და ეს მაშინ, როცა თბილისში კარგი პირობებია ამ სახეობის განვითარებისათვის. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქ მხოლოდ სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ერთი ჯგუფი მუშაობს, მაგრამ რაც მთავარია, თბილისის ზღვაზე არ არის სათანადოდ მოწყობილი და ინვენტარით აღჭურვილი აფროსანთა კლუბი.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავ ინვენტარის შესახებ: ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე პაექრობა მოუხდებათ კარგად აღჭურვილ გუნდებთან, ძლიერ სპორტსმენებთან, მათთან წარმატების მოპოვება წარმოუდგენელია თანამედროვე იმპორტული წარმოების ნავების გარეშე, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. 10-12 წლის წინათ შეძენილი ნავებით კი ძნელია სასურველი შედეგების მიღწევა...

საქართველოს აფროსანთა ნაკრები გუნდი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, ორი შემადგენლობით გაივლის წვრთნას. გუნდში სულ 24 კაცია, აქედან ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 7 სპორტის ოსტატი, ხოლო დანარჩენი ოსტატობის კანდიდატები არიან.

20-27 ნოემბერს სოჭში გაიმართება საკავშირო „შავი ზღვის რეგატა“. აქ გამოვა ჩვენი რესპუბლიკის აფროსანთა გუნდიც, რომელიც გაცხოველებით ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის.

ლ. ხეცურიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სადისკუსიო კლუბი

რაც გვაღელვებს და გვაფიქრებს

თავისუფალი ჭიდაობა, როგორც სპორტის სახეობა, ჩვენს ქვეყანაში 1945 წლიდან დაინერგა, საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატიც სწორედ ამ წელს ჩატარდა. მანამდე, მოგეხსენებათ, ჩვენთან კლასიკური ჭიდაობა და სამბო იყო კულტივირებული. და აი, 1944 წლის მიწურულს, როცა დიდი სამამულო ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, თბილისში შეკრიბეს საუკეთესო „კლასიკოსები“ და სამბისტები. მათ წინაშე ასეთი ამოცანა დაისვა — აეთვისებინათ ჭიდაობის ახალი სახეობა. ეს, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო. გავიდა მცირე ხანი და გამოირკვა, რომ თავისუფალ ჭიდაობას ყველაზე უკეთ ქართველმა ფალავნებმა აუღეს ალღო. რასაკვირველია, ამაში მათ დაეხმარა ქართული ჭიდაობის ილეთები: შუაკაური და შუაფეხით გდება, კისრული და გარე ფეხით მოგვერდი, ცერული და ბარძაყზე შესმით გაზნექით გდებები. საბჭოთა კავშირის პირველივე ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა 4 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს, მომდევნო წელს კი — 4 „ოქრო“ და 1 „ბრინჯაო“. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ მოჭიდავეთა უმრავლესობა პარალელურად გამოდიოდა როგორც თავისუფალ, ასევე კლასიკური სტილის ჭიდაობაში, ერთი ნაწილი კი სამბოშიც ცდიდა ძალებს. მართალია, ზოგიერთი სპორტსმენი სამივე სახეობაში საკმაოდ კარგად გამოდიოდა (ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენს სახელგანთქმულ ფალავანზე ა. მეკოკიშვილზე), მაგრამ შემდეგ და შემდეგ ნათელი გახდა, რომ ასეთი უნივერსალობა კარგ შედეგს არ მოიტანდა. ამიტომ მოჭიდავეები ალტერნატივის წინაშე დადგნენ...

ჩვენმა თავისუფალი სტილის ფალავნებმა მალე დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზეც გამოიჩინეს თავი. 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდურ ჩათვლაში 1 ადგილზე გავიდა. თავისუფალ ჭიდაობაში პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ დ. ციმაკურიძე და ა. მეკოკიშვილი. ორი წლის შემდეგ ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 7 ქართველი მოჭიდავე იცავდა (გუნდში სულ 8 კაცი იყო). ოქროს მედლები მოიპოვეს ა. მეკოკიშვილმა და ვ. ბალავაძემ, სამმა კი საპრიზო ადგილი დაიკავა. შემდეგ წარმატებებს მიაღწიეს მ. ცალქალამანიძემ და გ. სხირტლაძემ. ცალქალამანიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სხირტლაძე კი — მსოფლიო ჩემპიონი. 60-იან წლებში ჩვენი სპორტული ტრადიციები ღირსეულად გააგრძელეს ვ. რუბაშვილმა, ზ. ბერიაშვილმა, შ. ლომიძემ და სხვებმა.

ერთი სიტყვით, ქართველ მოჭიდავეთა მიღწევები თვალსაჩინო იყო. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, ერთობ დამაფიქრებელია თავისუფალი ჭიდაობის ქართული სკოლის დღევანდელი მდგომარეობა. რა მოხდა?

ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად კვლავ ისტორიას უნდა დავესესხოთ. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, საერთაშორისო ასპარეზზე ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში მედლებს ძირითადად საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მოჭიდავეები ინაწილებდნენ. კარგი შედეგები ჰქონდათ აგრეთვე ირანის, იაპონიის, აშშ-ისა და ბულგარეთის წარმომადგენლებს. მაგრამ გავიდა 15-20 წელიწადი და თანდათანობით დათმეს პოზიციები თურქებმა, იაპონელებმა, ირანელებმა. სპეციალისტები პირველ ხანებში ამ მოვლენას თაობათა ცვლას მიაწერდნენ, მაგრამ როცა ძველი დიდებიდან აჩრდილიღა დარჩა, მაშინ უკვე მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა ჩამორჩენა. აშკარა გახდა, რომ ამ ქვეყნების მოჭიდავეებმა ფეხი ვერ აუწყეს თანამედროვე მოთხოვნებს და ჩრდილში მოექცნენ.

სამწუხაროდ, თითქმის ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაშიც. ქართველმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მნიშვნელოვან საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ვერაფრით გამოიჩინეს თავი. აი ფაქტები: სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა — VI ადგილი; VII სპარტაკიადა — IX ადგილი. უკანასკნელად ქართველი ფალავანი 1975 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი; 1978 წლიდან კი მსოფლიოს სამ ჩემპიონატზე და მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში თავისუფალი სტილის არც ერთ ქართველ მოჭიდავეს არ უასპარეზია.

ვიდრე ჩამორჩენის მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, ალბათ აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ედო საფუძვლად ჩვენს ადრინდელ წარმატებებს. ჭიდაობაში, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, სპორტსმენის მომზადების ოთხ მხარეს გამოყოფენ: ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. როცა თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაინერგა და შეჯიბრებებიც რეგულარულად იმართებოდა, ქართველ ფალავნებს მეტოქეებთან აშკარა უპირატესობა ჰქონდათ — ეს იყო ტექნიკური მომზადების გაცილებით მაღალი დონე, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო ფეხებით ჭიდაობის უმაღლესი კლასით. ფიზიკურ, ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაში დაახლოებით თანაბარი მდგომარეობა იყო. მაგრამ გადიოდა წლები, ვითარდებოდა ჭიდაობა, იზრდებოდა მისი გეოგრაფია, იქმნებოდა ახალ-ახალი საჭიდაო ცენტრები, იცვლებოდა ჭიდაობის წესები, რასაც თავის მხრივ კორექტივები შეჰქონდა ე. წ. რანგთა ტაბელში.

თავიდან ჭიდაობის ხანგრძლივობა 15 წუთი იყო, 1956 წლიდან — 12, 1961 წლიდან კი 10, თუმცა ცვლილებები ამით არ დამთავრებულა. ჭიდაობის ხანგრძლივობა 9 წუთამდე შემცირდა, ბოლოს კი — 6 წუთამდე. 1965 წლიდან დაინერგა ერთიანი სამსაჯო ჟესტიკულაცია, გაუქმდა ფრე. 1971 წლიდან ოთხკუთხედი საჭიდაო ხალიჩა შეიცვალა 9 მეტრის დიამეტრის მქონე მრგვალი ხალიჩით. 1974 წლიდან კი საჭიდაო „მოედნის“ დიამეტრი 7 მეტრს უდრის. ამასთან ერთად, ძალზე გამკაცრდა პასიურობასთან ბრძოლა.

წესების ყველა ეს ცვლილება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა — ჭიდაობა გამხდარიყო უფრო საინტერესო, სწრაფი და ემოციური. სტაჟიანი გულშემატკივრები დამეთანხმებიან, რომ ომის შემდგომ პერიოდთან შედარებით ჭიდაობის ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ორთაბრძოლები უფრო დინამიური გახდა, ამან კი სპორტსმენისაგან მოითხოვა გაცილებით მეტი სიმკვირცხლე და გამძლეობა. შესაბამისად გაიზარდა საწვრთნო დატვირთვების მოცულობა და ინტენსიობა, ამაღლდა რეაბილიტაციის როლი და მნიშვნელობა. დღის წესრიგში დადგა აქტიური და პასიური დასვენების ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრის საკითხი. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მხოლოდ ბუნებრივი მონაცემების ხარჯზე შეიძლებოდა დიდი გამარჯვების მოპოვება. ამჯერად წინა პლანზე გამოვიდა შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა და სხვა ფაქტორები. ერთი სიტყვით, აშკარად მოძველდა და უადგილო გახდა ცნობილი ფრაზა: „ჭიდაობას რა უნდაო, ფეხის გამოკვრა უნდაო“.

აღმოჩნდა, რომ ამ ცვლილებებისთვის ჩვენ მზად არ ვიყავით — ჭიდაობის მესვეურებიც, მწვრთნელებიც და მოჭიდავეებიც. თანდათან გამოიკვეთა საგრძნობი განსხვავება ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა ძალა, გამძლეობა, ნებელობითი თვისებები, მთელი რიგი ხარვეზები გამოჩნდა ტექნიკურ მომზადებაშიც. დღეს უკვე აშკარაა, რომ მოვიკოჭლებთ ჩოქბჯენში ჭიდაობაში, ძველებური ეფექტურობით ვერ ვასრულებთ ფეხის ჩახვევით გადაბრუნებას, სუსტად ვფლობთ დაცვით ილეთებსაც.

რასაკვირველია, ჩამორჩენის მიზეზები მარტო ეს არ არის. საქართველოში ძალზე გაიზარდა ძიუდოს პოპულარობა და ფეხით ჭიდაობის მოყვარულებმა (ეს კი ჩვენი მოჭიდავეების მთავარი კოზირი იყო) ძიუდოში გადაინაცვლეს. მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები კახეთმა, ქართლმა, სამხრეთ ოსეთმა, აჭარამ, ქუთაისმა — იმ რეგიონებმა, საიდანაც რესპუბლიკის ნაკრები წლების მანძილზე მნიშვნელოვან შევსებას ღებულობდა. საერთო ჩამორჩენა უფრო აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც აქტიურ სპორტს ჩამოშორდა ჩვენი ბეჭდაუდებელი ფალავანი ლ. თედიაშვილი.

ცხადია, რომ პრობლემები საკმაოდ გვაქვს და ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა ერთი ხელის მოსმით ვერ გამოსწორდება. საჭიროა თანმიმდევრულობა და მეთოდურობა, ნაკლოვანებების გულახდილი აღიარება და მათი აღმოფხვრისთვის ერთობლივი ბრძოლა. ვფიქრობთ, ამ პოზიციაზე უნდა დადგეს ყველა, ვისაც რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობის განვითარება ევალება.

მე რამდენიმე წელიწადი ვიმუშავე საქართველოს ნაკრებში და შემიძლია ვთქვა, რომ დღეისათვის ჩვენ გვყავს იმედისმომცემი პერსპექტიული ახალგაზრდობა. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელო ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ლ. ხაბელოვი (90 კგ), გ. გაბოძე (62), ვ. დოლიძე (74), ა. გოგოლიშვილი (82), მ. რაზმაძე (90), დ. გობეჯიშვილი (100), ზ. თურმანიძე (+100). თუ ეს მოჭიდავეები კეთილსინდისიერად, ნამდვილად სერიოზულად ივარჯიშებენ, უთუოდ დაიპყრობენ მაღალ სპორტულ მწვერვალებს.

ტრადიციები მთლიანად რომ დავიბრუნოთ, აუცილებელია მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება, წვრთნა-ვარჯიშის მეთოდიკის გადახალისება, მოწინავე გამოცდილების გაზიარება, ყოველი განვლილი შეჯიბრებიდან სწორი დასკვნების გაკეთება. სხვაგვარად წინსვლა წარმოუდგენელია.

ახლა რესპუბლიკის ნაკრები ინტენსიურად ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის, რომელიც მომავალი სპორტული სეზონის ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდა იქნება. ნაკრების წევრების მაღალ დონეზე მომზადებასთან ერთად დღენიადაგ უნდა ვიფიქროთ საერთოდ რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობის მასობრივად დანერგვისთვის, ახალ-ახალი ტალანტების გამოვლენისთვის. ამ საქმეში კი წვლილი უნდა შეიტანოს ყველამ, ვისაც ჭიდაობის, ქართული სპორტის მომავალი აღელვებს.

ბ. სალარაძე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

თქვენი აზრი?

უმაღლესი ლიგა

გუშინ კრასნოდარში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 8 მაისის ტურიდან გადმოტანილი მატჩი ადგილობრივ „ყუბანსა“ და კიევის „დინამოს“ შორის.

კიეველები იბრძვიან ჩემპიონობისთვის, ხოლო „ყუბანი“ ცდილობს უმაღლეს ლიგაში შეინარჩუნოს ადგილი. ამდენად, შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

I ლიგა

ოდესის არმიელთა გუნდისა და ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა 1 ნოემბრის კალენდარულ მატჩში, რომელიც დამთავრდა ფრედ — 2:2, ლანჩხუთელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ჩელებაძემ (პენალტი) და კოპალეიშვილმა.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 2:0.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„თორი“ (ბორჯომი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

ბურთი გაიტანა ჩადუნელმა.

„მადნეული“ (ბოლნისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

გოლები: ახიმამუდოვი („კახეთი“), აიდინოვი („მადნეული“).

„სპარტაკი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:3. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

გოლები: ეჯიბოვი, ჩიქობავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ტალახაძე, ოსაძე („დურუჯი“).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2. მსაჯი ა. ზაჩუკაშვილი (თბილისი).

გოლები: რამიშვილი, უგრელიძე, ხუცურაული (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), გოგუაძე, სულთანიშვილი („მეტალურგი“).

„ალგეთი“ (მარნეული) — „აბული“ (ახალქალაქი) 4:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გოლები: ქორციკიძე — 2 („ალაზანი“), ძიძიშვილი, აკოფიანი („მეტალურგი“).

თბილისის არმიელთა გუნდს ზესტაფონში „მეტალურგთან“ და ცხინვალში „სპარტაკთან“ გამოუცხადებლობისთვის ჩაეთვალა წაგებები.

დასავლეთი ზონა

„სქური“ (წალენჯიხა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:3. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

გააფრთხილეს წალენჯიხელი ს. გაბელია.

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი თ. მაჩიტიძე (ქუთაისი).

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სულორი“ (ვანი) 3:1. მსაჯი ა. მეგდლიძე (თბილისი).

გოლები: თოდრია — 3 („ბახმარო“), ჯ. ვერულაშვილი („სულორი“).

„მექაღალდე“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გოლები: როგავა, ექონია („მექაღალდე“), ციმაკურიძე („სამეგრელო“).

„მერცხალი“ (მახარაძე) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1. მსაჯი ა. ხიანოზოვი (თბილისი).

ბურთი გაიტანა ბჟანიამ.

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

გოლები: ბალათურია, კიკალეიშვილი.

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 5:2. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0. მსაჯი ვ. კიკაბიძე (მახარაძე).

„შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „მზიური“ (გალი) 1:3. მსაჯი ზ. მილჩენკო (სოხუმი).

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გოლები: ქაჯაია — 2, მურვანიძე („სალხინო“), ახალკაცი („გიგანტი“).

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტ.“ ზ.	34	25	6	3	75—30	56
„ავიატ.“	33	21	7	5	81—26	49
„ავტომ.“	31	20	7	4	45—20	47
„მეტ.“ რ.	34	17	8	9	74—42	42
„ქართლი“	33	17	7	9	72—52	41
„სპ.“ თბ.	33	14	10	9	56—43	38
„კახეთი“	34	15	5	14	43—49	35
„მადნ.“	33	13	8	12	56—49	34
„ივერია“	34	13	8	13	62—65	34
ფიზ. ინ.	34	10	13	11	60—56	33
„თორი“	34	12	9	13	52—58	33
„დურუჯი“	34	12	6	16	53—67	30
„ჰერეთი“	34	13	3	18	56—73	29
„სპ.“ ცხ.	34	11	6	17	54—66	28
„ალაზ.“	33	11	6	16	45—58	28
პოლ. ინ.	34	9	10	15	34—48	28
ასკ თბ.	32	10	6	16	50—52	26
„არმ.“	34	10	5	19	51—57	25
„ალგ.“	34	9	3	21	56—98	21
„აბული“	34	3	7	24	26—92	13

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხ.“	34	21	4	9	67—34	46
„სულ.“	34	17	7	10	64—37	41
„ამირ.“	34	17	7	10	66—54	41
„სამეგ.“	34	15	9	10	66—52	39
„მაღარ.“	34	14	9	11	46—35	37
„დინამო“	34	13	9	12	62—53	35
„კოლხ.“	34	13	9	12	57—53	35
„მზიური“	34	14	7	13	50—51	35
„სქური“	34	13	8	13	53—52	34
„სალხ.“	34	13	8	13	54—66	34
„ენერგ.“	34	14	5	15	60—54	33
„შუქ.“	34	12	9	13	45—46	33
„ეგრ.“	34	12	8	14	50—56	32
„სამგურ.“	34	11	10	13	45—51	32
„მექალ.“	34	13	6	15	47—64	32
„ბახმ.“	34	12	6	16	49—49	30
„იმერ.“	34	11	7	16	62—71	29
„გიგანტი“	34	8	13	13	36—47	29
„ჩიხურა“	34	8	12	14	32—54	28
„შახტ.“	34	8	9	17	33—65	25

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

გაიმარჯვა „ნაპერწკალმა“

დამთავრდა აფხაზეთის ჩემპიონატი ფეხბურთში 11 გუნდის მონაწილეობით.

წარმატებას მიაღწია ოქუმის „ნაპერწკალმა“, რომელმაც 32 ქულა დააგროვა და ჯერ კიდევ გათამაშების დამთავრებამდე გაინაღდა პირველობა. ამ გუნდის თავდამსხმელმა გ. ჩხაპელიამ მეტოქეთა კარში 35 ბურთი გაიტანა, რითაც საუკეთესო სნაიპერის წოდება დაისაკუთრა. „ნაპერწკლის“ შემადგენლობაში გამოდიოდნენ ჩხოტუა, არახამია, სტრელკოვი, ნ. შამათავა, რიგვავა, დ. კოზმავა, ბულისკერია, ჩხაპელია, გოგუა, მ. შამათავა, გოგოხია, ცაცუა, ო. კოზმავა, კორსანტია, ბასარია, ლ. შამათავა.

გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გალის რაიონის სოფელ ოქუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. ზუხბაიას, გუნდის მწვრთნელებს შ. შამათავას და კ. ჯობავას, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს ფეხბურთელთა კოლექტივში.

გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა სოხუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გუნდმა (დირექტორი რ. არძინბა, მწვრთნელი ნ. ილიადი). მესამე ადგილზეა ახალი ათონის „ფსირცხა“ (ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. არგუნი, გუნდის მწვრთნელი პ. იალანჩიდი).

ტურნირში გამოვლინდნენ საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე ა. დანელია (სოხუმის, „თოლია“), მცველი ნ. ახალაია (ქოჩარის „საქართველო“), ნახევარმცველი ვ. ვიხარევი (სოხუმის „ტრუდი“), თავდამსხმელები ო. გადელია (სოხუმის საყოფაცხოვრებო სამმართველოს გუნდი) და ვ. იალანჩიდი (ახალი ათონის „ფსირცხა“).

ჩემპიონატის ყველაზე კორექტული გუნდი იყო „ფსირცხა“, ხოლო საუკეთესო არბიტრად აღიარეს სოხუმელი ს. ტკაჩენკო.

იყო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებიც — მინდვრიდან გააძევეს 9 მოთამაშე, ათს აჩვენეს ყვითელი ბარათი.

უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის აქტიური საქმიანობა (თავმჯდომარე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ა. მილჩენკო), აქტიურად მსაჯობდნენ ე. თორია, ვ. ქობალავა, ა. შონია (ყველანი — გალიდან), ა. უჩანეიშვილი, მ. ვეკუა, რ. კაკულია (ყველანი — გულრიფშიდან), ს. იალანჩიდი (ახალი ათონი), ა. პედიშვილი, ბ. ჩერნიახოვსკი, რ. შენგელია, ზ. მილჩენკო, ბ. ქვირაია, მ. მურღულია, ა. პაპავა (ყველანი — სოხუმიდან).

გ. კოლოსიანი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი.

სურათზე: აფხაზეთის 1982 წლის ჩემპიონი ფეხბურთში ოქუმის „ნაპერწკალი“.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

გფრ

X ტურში მიონხენგლადბახში თამაშობდნენ ადგილობრივი „ბორუსია“ და მიუნხენის „ბაიერნი“. ფრე — 0:0. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ დიდი ანგარიშით სძლია ბრაუნშვაიგის „აინტრაჰტს“ — 4:0.

სხვა მატჩები: „კიოლნი“ — „არმინია“ (ბილეფელდი) 1:0, „შტუტგარტი“ — „ბოხუმი“ 5:2, „ნიურნბერგი“ — „ვერდერი“ (ბრემენი) 2:0, „შალკე 04“ (გელზენკირხენი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) 3:3, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „კარლსრუე“ 4:3, „კაიზერსლაუტერნი“ — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 2:0.

10 ტურის შემდეგ 15-15 ქულა აქვთ „ჰამბურგერ შპორტფერაინს“, „შტუტგარტსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“, 14-14 — მიუნხენის „ბაიერნსა“ და „კიოლნს“.

იტალია

VII ტურის ცენტრალურ მატჩში ტურინის „იუვენტუსმა“ სძლია „რომას“ — 2:1. ტურინელთა მწვრთნელი ტრაპატონი ძალიან უჩივის როსის, რომელსაც, როგორც წესი, მეორე ტაიმში ცვლიან ხოლმე. „უდინეზემ“, რომლის შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩევიან კაუზიო და იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი შურიაკი, სტუმრად მოუგო „ფკ-93 ჯენოვას“ — 2:0.

სხვა შედეგები: „ასკოლი“ — „სამპდორია“ (გენუა) 2:0, „კალიარი“ — „ტორინო“ 0:0, „ჩეზანა“ — „ფიორენტინა“ 3:3, „ნაპოლი“ — „აველინო“ 1:1, „პიზა“ — „ინტერი“ 1:1, „ჰელასი“ (ვერონა) — „კატანძარო“ 3:1.

7 ტურის შემდეგ 10-10 ქულით წინ არიან პირველი ლიგის დებიუტანტი „ჰელასი“ და „რომა“, „ტორინოსა“ და „იუვენტუსს“ 9-9 ქულა აქვთ.

ინგლისი

XI ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა მანჩესტერში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მანჩესტერ სიტი“. უკვე მე-13 წუთზე „სიტი“ წინ იყო —2:0, მაგრამ ლიდერმა ხელთ იგდო ინიციატივა და იხსნა ქულა —2:2 (ორივე საპასუხო ბურთი გაიტანა ირლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა სტეპლტონმა).

სხვა მატჩები: „ბირმინგემ სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:0, „ბრაიტონ ალბიონი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 3:1, „ევერტონი“ — „სანდერლენდი“ 3:1, „ნორვიჩ სიტი“ — „ასტონ ვილა“ 1:0, „ნოტინგემ ფორესტი“ — „არსენალი“ 3:1, „სტოკ სიტი“— „ლივერპული“ 1:1, „სუონსი სიტი“ — „საუთჰემპტონი“ 3:2, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ნოის ქაუნთი“ 4:2, „უოტფორდი“ — „კოვენტრი სიტი“ 0:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ლუტონ თაუნი“ 1:0.

11 ტურის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 22 ქულა აქვს, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 21, „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ — 20 ქულა.

ავსტრია

X ტურში მორიგი გამარჯვები იზეიმეს ლიდერებმა. ვენის „აუსტრიამ“ ანგარიშით 5:1 სძლია ლინცის ვოესტ-ს, ვენის „რაპიდმა“ — „ზიმერინგს“ — 4:1, გრაცის „შტურმმა“ — კლაგენფურტის „აუსტრიას“ — 1:0.

10 ტურის შემდეგ „აუსტრიას“ 17 ქულა აქვს, „რაპიდს“ — 16, გრაცის „შტურმს“ — 15.

ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ VIII ტურში ანგარიშით 5:1 სძლია სანტანდერის „რესინგს“. რამდენადმე მოულოდნელი იყო „ბარსელონას“ ფრე (1:1) შინ ხიხონის „სპორტინგთან“.

ტურის სხვა შედეგებია: „ბეტისი“ (სევილია) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) 1:1, „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „მალაგა“ 3:2, „უნიონი“ (ლას-პალმასი) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა) 0:0, „ოსასუნა“ (პამპლონა) — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 4:2, „ვალენსია“ — „რეალი“ (სარაგოსა) 1:2, „რეალი“ (ვალიადოლიდი) — „სევილია“ 1:4, „სელტა“ (ვიგო) — „უნიონი“ (სალამანკა) 2:0.

8 ტურის შემდეგ მადრიდის „რეალს“ 13 ქულა აქვს, 11-11 ქულა მოაგროვეს სარაგოსას „რეალმა“, „სევილიამ“, ბილბაოს „ატლეტიკმა“ და სან-სებასტიანის „რეალმა“.

პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ“ VII ტურში ძნელი გამარჯვება მოიპოვა გიმარაეშის „ვიტორიასთან“ — 1:0. „პორტომ“ სტუმრად ფრედ ითამაშა „სალგუეიროშთან“ — 0:0, ხოლო ლისაბონის „სპორტინგი“ სტუმრად დამარცხდა „ვარზიმთან“ (0:2).

7 ტურის შემდგგ ლიდერთა სამეულში არიან: „ბენფიკა“ — 14 ქულა, „პორტო“ — 12, „სპორტინგი“ — 11.

თურქეთი

ნათამაშევია 8 ტური. 13-13 ქულით წინ არიან სტამბოლის გუნდები „გალათასარაი“ და „ფენერბახჩე“, 2-2 ქულით ნაკლები აქვთ „ბეშიქთაშსა“ და „ტრაბზონსპორს“.

შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ VIII ტურში ანგარიშით 2:1 სძლია „მორტონს“ და 13 ქულით ლიდერობს. 12 ქულა აქვს „დანდი იუნაიტედს“, 11-11 ქულა — „გლაზგო რეინჯერსსა“ და „აბერდინს“.

ბელგია

11 ტურის შემდეგ 15 ქულით წინაა „ბევერენ-ვაასი“, 14-14 ქულა მოაგროვეს ლიეჟის „სტანდარდმა“, ბრიუსელის „ანდერლეჰტმა“, „ფკ ბრიუჟმა“, „ვატერშეიმ“ და „ანტვერპენმა“.

შვეიცარია

10 ტურის შემდეგ 17 ქულით დაწინაურდა ჟენევის „სერვეტი“ 15-15 ქულა მოაგროვეს ციურიხის „გრასჰოპერსმა“ და ნევშატელის „ჰამაქსმა“, 14-14 — „ფკ ციურიხმა“ და ბერნის „იანგ ბოისმა“.

იუგოსლავია

XII ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ზაგრებში. ბელგრადის „პარტიზანმა“ მძაფრ ბრძოლაში სძლია ადგილობრივ „დინამოს“ — 4:3, რის შემდეგ ორივე გუნდს 18-18 ქულა აქვს. 15 ქულით მესამე ადგილზეა სპლიტის „ჰაიდუკი“, რომელმაც ლიუბლიანაში ფრედ ითამაშა იქაურ „ოლიმპიასთან“ — 1:1.

ჩეხოსლოვაკია

IX ტურში პირველი დამარცხება იგემა პრაღის „ბოჰემიანსმა“ ტრნავის „სპარტაკთან“ —0:1. „ვიტკოვიცემ“ მოუგო „ოლომოუცს“ — 2:1 და ისევე, როგორც „ბოჰემიანსმა“, 13 ქულა მოაგროვა. ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან პრაღის „სლავია“ და „დუკლა“.

87
CHAMPIONNAT DU MONDE AURON 82

იმედიანად დაიწყო

გია ორჯონიკიძის წარმატება

საქართველოს მიწას წლეულს ჯერ თოვლი არ დაჰფენია, იალბუზის ჩრდილოეთ ფერდობის თოვლიანი ტრასიდან კი პირველი სასიხარულო ცნობა მივიღეთ: ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა სამთომოთხილამურემ, 16 წლის წალვერელმა სპორტის ოსტატმა, მეათეკლასელმა გია ორჯონიკიძემ („შრომითი რეზერვები“) ტერსკოლში ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ შეჯიბრებაზე „საკავშირო სლალომი“ გიგანტური სლალომის ტრასაზე (სიგრძე 1.000 მეტრი, 60 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 4.100 მეტრი) საპატიო მეორე ადგილი დაიკავა.

ასპარეზობაში ქვეყნის 200-მდე სამთომოთხილამურე გამოდიოდა, აქედან ნახევარზე მეტი სპორტის ოსტატი იყო (ი. ვალენკოვი, ა. ამოსოვი, ი. კაჩკაროვი, დ. არეფიევი და სხვა).

...გიამ 29-ე ნომრით აიღო სტარტი და, მიუხედავად ამისა, პირველ ცდაში მე-5 შედეგი აჩვენა. ამ დღეს შედეგები ძალზე მჭიდრო იყო. ასპარეზობის ლიდერი ზამთრის V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი მიხეილ ტიმოფეევი გახდა. მეორე ცდაში გ. ორჯონიკიძემ (იგი უკვე მეხუთე ნომრით მოდიოდა) შესანიშნავად გაიარა ტრასა და საუკეთესო შედეგი აჩვენა. მან უკან ჩამოიტოვა მთავარი კონკურენტი მ. ტიმოფეევი, თუმცა, ორი ტრასის შედეგად მაინც ჩამორჩა გამოცდილ ოსტატს.

მართლაც შესანიშნავი, იმედისმომცემი დასაწყისია!

— უნდა ითქვას, რომ ორჯონიკიძის ასეთი ძლიერი სტარტი სპეციალისტებისთვის მოულოდნელი არ იყო, — უთხრა ჟურნალისტებს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი კომაროვმა. — საქმე ისაა, რომ გია საკმაოდ კარგად გამოვიდა წინასწარ შეჯიბრებებში და საზაფხულო მოსამზადებელი პერიოდიც ნაყოფიერად განვლო — ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა ახალგაზრდა სამთომოთხილამურეთა შორის.

უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები ამჟამად გადახალისების სტადიაშია, გუნდიდან ასაკის გამო წავიდნენ ნიჭიერი ოსტატები იგორ იუდინი და დავით გულიევი, რომელთა ადგილზე პრეტენზიას პირველ რიგში იზმაილ კაჩკაროვი, დიმიტრი არეფიევი და გია ორჯონიკიძე აცხადებენ. სულ მალე — იანვარში ევროპის თასი გათამაშდება (ავსტრია, შვეიცარია, იუგოსლავია, გფრ), მერე კი — მსოფლიოს თასი (საფრანგეთი). პირველ შეჯიბრებაში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოვა 2 სპორტსმენი, რომლებსაც ქვეყნის სპორტული პრესტიჟის დაცვა მოუწევთ ევროპის უძლიერეს სამთომოთხილამურეებთან ძნელ ჭიდილში. საამისოდ დეკემბერში მეჟდურეჩენსკსა და ბელორეცკში გამართულ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე და საკონტროლო სტარტებზე ორი საუკეთესო გამოვლინდება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერთი მათგანი ჩვენი თანამემამულე იქნება — გია ორჯონიკიძე ხომ გიგანტურ სლალომში წარმატებებთან ერთად სწრაფდაშვებაშიც არანაკლები ოსტატობით გამოირჩევა.

წერილი ერთი პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი გამონათქვამით გვინდა დავამთავროთ. იგი ეკუთვნის წარსულში სახელგანთქმულ სამთომოთხილამურეს უვე დიტიხას (გდრ), რომელიც ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე ტერსკოლში სტუმრად იყო მიწვეული:

— ეს ქართველი ბიჭუნა ისე ფლობს თხილამურებს, როგორც მე... ფეხსაცმელებს პროსპექტზე!

ო. ნოზაძე.

• • •

სურათზე: გია ორჯონიკიძე გიგანტური სლალომის ტრასაზე იუნიორთა პირველ მსოფლიო პირველობაზე საფრანგეთის ქალაქ აურონში; ქართველი სპორტსმენი წლეულს ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური ქვეყნების „მეგობრობის“ თასის გათამაშების სწრაფდაშვებაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მეორე და მესამე საფეხურებზე დგანან ჩეხოსლოვაკიელი პეტერ იურკა და ბულგარელი მილან მილანოვი.

დელი თამაშების მოლოდინში

დელი. ახლოვდება IX აზიური თამაშების გახსნის დღე. დელი ბრწყინვალედ მოემზადა ამ სპორტული ფორუმისთვის. აშენდა 5 სტადიონი, სპორტსმენთა საცხოვრებელი შესანიშნავი სოფელი. გაყვანილია 290 კმ ახალი გზა, აშენდა 15 ელექტრონული ქვესადგური.

აზიურ თამაშებში (იგი დაიწყება 19 ნოემბერს და დამთავრდება 4 დეკემბერს) მონაწილეობას მიიღებენ 30-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები. მთავარ სტადიონს, სადაც ასპარეზობათა ეპიცენტრი იქნება, ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს სახელი ეწოდა. როგორც ცნობილია, ნერუ 1951 წლის პირველი აზიური თამაშების ერთ-ერთი თაოსანი გახლდათ. ორიარუსიანი სტადიონი 75 ათას მაყურებელს დაიტევს. განახლდა 14 სპორტული ნაგებობა. ნიჩბოსანთა შეჯიბრება ტბა რამგარხში გაიმართება, ხოლო იახტსმენები ბომბეისთან ახლოს, არაბეთის ზღვაზე იასპარეზებენ.

ყველა სპორტული ნაგებობა სექტემბერში ჩატარებული ეროვნული ჩემპიონატების დროს გამოიცადა. მონაწილეებიცა და ორგანიზატორებიც კმაყოფილი დარჩნენ.

თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბუტა სინხმა თქვა: ჩვენ დიდი ინტერესითა და მღელვარებით მოველით სტუმრებს. გვსურს სპორტსმენები კმაყოფილი დარჩნენ ჩვენი სტადიონებით. დაე, ამ თამაშებმა ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში და აზიის მთელ კონტინენტზე სპორტის შემდგომ განვითარებას. (საქდესი).

სხვადასხვა მერიდიანზე

ქალები ეწევიან ვაჟებს?

ნიუ-იორკი. ლონგ-ბიჩის (კალიფორნიის შტატი) უნივერსიტეტის პროფესორმა რაიმონდ სტეფანიმ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა. მან შეისწავლა ბოლო 30 წლის მანძილზე მოცურავე ვაჟთა და ქალთა შედეგები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უახლოეს ასწლეულში, შესაძლოა უფრო ადრეც, ორივე სქესის მოცურავეებს ერთნაირი შედეგი ექნეთ.

ამჟამად ქალები ვაჟებზე უფრო ხშირად ამყარებენ რეკორდებს და მათი შედეგები თანდათან უახლოვდება „ძლიერი სქესის“ მაჩვენებლებს. ირკვევა, რომ 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში ქალთა და ვაჟთა შედეგებს შორის სხვაობა 12,2 პროცენტს უდრიდა, მოსკოვის ოლიმპიადაზე — 7,8 პროცენტს, ლოს-ანჯელესში კი სტეფანის აზრით ეს ციფრი 7,2 იქნება, ასწლეულის ბოლოსთვის — 4,4. მომდევნო საუკუნის შუა ხანებში კი შესაძლოა ვაჟებმა და ქალებმა მედლებისთვის ერთად იბრძოლონ. (საქდესი).

რეკორდსმენი მხედარი

ნიუ-იორკი. ამერიკელმა მხედარმა ბ. უორდმა ცხენ „იგლენდორი აკაით“ ჩრდილოეთ ამერიკის ახალი რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 229 სმ.

უორდმა ეს ნახტომი შეასრულა დახურულ შენობაში, ქალაქ ლენდოვერში (მერილენდის შტატი) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრების დროს.

მსოფლიო რეკორდი (247 სმ) 1949 წელს დაამყარა მექსიკელმა ლ. მორალესმა ცხენ „ხუასოთი“.

თავის დროზე ცხენით ხტომები საბჭოთა კავშირშიც პოპულარული იყო. 1953 წელს საკავშირო რეკორდი (225 სმ) დაამყარა ი. ლისოგორსკიმ. (საქდესი).

ორჯერ სამყაროს ირგვლივ

43 წლის ავსტრალიელი მეზღვაური ჯონათან სანდერსი პირველი იახტსმენია, რომელმაც მარტოდმარტომ, შეუსვენებლივ ორჯერ შემოუარა სამყაროს. 14 თვის განმავლობაში მან 80000 კმ დაფარა.

სანდერსმა იმოგზაურა 10,36 მეტრი სიგრძის იახტით.

ს. ლუნდკვისტი — „წლის მოცურავე“

ამერიკის შეერთებული შტატების ცურვის ფედერაციამ „წლის მოცურავედ“ დაასახელა 21 წლის მსოფლიო რეკორდსმენი სტივ ლუნდკვისტი, რომელმაც წელს ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა გულაღმა ცურვაში.

ლ. ჰოლმსი — ჯ. კოონი

მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, 32 წლის ლარი ჰოლმსი საკმაოდ ენაწყლიანია: „მე ისეთივე მანერის მოკრივე ვარ, როგორიც ჯო ლუისი იყო, ვიბრძვი, როგორც სონი ლისტონი, რინგზე ვცეკვავ, როგორც მოჰამედ ალი“. ლარი ჰოლმსმა, როგორც პროფესიონალმა, 40 მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო. იგი უკვე 4 წელია მსოფლიოს ჩემპიონია.

ამ ზანგმა მოკრივემ უკანასკნელად გაზაფხულზე დაიცვა თავისი წოდება მეორე ამერიკელ მოკრივე ჯერი კოონის წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ მეტოქეთა ხელახალი შეხვედრის შესახებ. ჯერი კოონი ირლანდიელი ემიგრანტების ჩამომავალია. დაიბადა ბრუკლინში, ნიუ-იორკის ერთ-ერთ რაიონში. არსად უსწავლია. „ყოველდღე ვჩხუბობდი ქუჩის ბიჭებთან“ — ამბობს იგი. 11 წლისა იყო, როდესაც კრივში სისტემატური წვრთნა დაიწყო. ახლა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მძიმე წონის მოკრივედ ითვლება.

• • •

სურათზე: ლარი ჰოლმსი (მარცხნივ) გამარჯვების შემდეგ მიესალმება გულშემატკივრებს.

რედაქტორი ა. ბასილაია

● კალათბურთი

კარგი სტარტი

ლოს-ანჯელესი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აშშ-ის ტურნეს პირველი მატჩი უნივერსიტეტის გუნდ „პეიპერდინესთან“ გამართა და მოიგო 116:111.

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ თქვა:

— ჩვენი გუნდი სტარტზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ბელოსტენი, დერიუგინი, ხომიჩუსი, ვალტერსი და იოვაიშა. საბჭოთა სპორტსმენების ტიტულმა როდი შეაკრთო აშშ-ის კალათბურთელები. სწრაფი და ფიზიკურად ძლიერი ზანგი ათლეტებისგან შემდგარმა გუნდმა თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყო თამაში და ანგარიშიც გახსნა. საბჭოთა ნაკრები კონტრშეტევით პასუხობდა. მერვე წუთზე დერიუგინი შეცვალა საბონისმა და „მეორე სართულზე“ უპირატესობა მაშინვე ჩვენი გუნდის მხარეს გადმოვიდა. 17 წლის ცენტრალურმა თავდამსხმელმა (მისი სიმაღლე 213 სმ-ია) გუნდს 24 ქულა შესძინა. შუა ტაიმში მოედანზე გამოვიდნენ ახალგაზრდები ბირიუკოვი, ბერეჟნოი, ტიხონენკო. თამაშის პირველ ნახევარში წარმატებას საბჭოთა კალათბურთელებმა მიაღწიეს — 55:49. შესვენების შემდეგ, მჭიდრო პრესინგის წყალობით, ამერიკელებმა გაათანაბრეს თამაში. საბჭოთა გუნდის დებიუტანტები ჩქარობდნენ და შეცდომებს უშვებდნენ, ამიტომ ისინი გამოცდილმა ვალტერსმა და იოვაიშამ შეცვალეს. ინიციატივას კვლავ საბჭოთა სპორტსმენები დაეუფლნენ და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწიეს. ლამაზი თამაშით მოხიბლული მაყურებლები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს ორივე გუნდს.

ამერიკელები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კალათბურთელების მიმართ. ბევრმა გაზეთმა დაბეჭდა ჩვენი გუნდის ფოტოები, ხოლო ცენტრალურმა გაზეთმა „ლოს-ანჯელეს ტაიმსმა“ საბჭოთა კალათბურთის დიდი წერილი მიუძღვნა. (საქდესი).

● ველოსპორტი

რეკორდები

„კრილატსკოეს“ ოლიმპიურ ველოტრეკზე 100 კმ-იან დისტანციაზე დახურული ტრეკებისთვის საუკეთესო დრო აჩვენა ქიტომირელმა ო. სიდორენკომ. მისმა შედეგმა — 2:40.52,171—40 წამით გააუმჯობესა იტალიელი მ. კრესარის მიერ ღია ტრეკზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი, ხოლო 6 წუთითა და 35 წამით — 1958 წელს ზ. ტიუმენცევას საკავშირო რეკორდი. (საქდესი).

ქ. კოუტინიოს აზრით

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ თხოვნით მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი ქ. კოუტინიო ირწმუნება, რომ მსოფლიოს XIII ჩემპიონატი, რახან ეს ადრევე იყო დაგეგმილი, უნდა გაიმართოს სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილია კი ამჟამად საუკეთესო კანდიდატია მისი ორგანიზატორობისთვის.

ჭადრაკის მონათესავე ეს თამაში გფრ-ის მოჭადრაკეებმა — ა. ბანგენმა, გ. კერნმა და ვ. ვაგლერმა გამოიგონეს. 144-უჯრიან დაფაზე 20-20-ფიგურიანი სამი არმია იბრძვის.
საქდესის ფოტო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08532